აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 19

06 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯომარეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 36-ე დღისა (2008 წლის 8 ნოემბერი).

მუხლი 2. პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში პარტიას ეძლევა 1 (ერთი) დღე განცხადებისა და თანდართული მასალების სრულყოფისათვის. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტარციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს სრულყოფილი განცხადებისა და საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

მუხლი 3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკები და გავიდნენ საარჩევნო ბლოკებიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 34-ე დღისა, უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

მუხლი 4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და წესდებას და არა უგვიანეს კომისიაში განცხადების შეტანის დღისა, დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 5. განცხადებისა და თანდართული საბუთების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წერილობით აცნობებს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა მას ეძლევა 1 კალენდარული დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისათვის. შესწორებული განცხადებებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება არაუგვიანეს მათი წარდგენის დღისა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

მუხლი 6. საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ, წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არაუგვიანეს 35-ე დღისა (2008 წლის 9 ნოემბერი).

მუხლი 7. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 8. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია